International Container Terminal Services, Inc.

EXCELLENCE UNCONTAINED

ICTSI

ბიზნეს ქცევის კოდექსი

თავმჯდომარის განცხადება

ICTSI გაიზარდა და გაძლიერდა წლების განმავლობაში, იქცა რა პორტის მართვის წამყვან კომპანიად, რომელიც ყოველთვის ტოვებს თავის გლობალურ კვალს და ფართოვდება მთელს მსოფლიოში. კომპანიის შესანიშნავი რეპუტაცია არ არის შემთხვევითი, ჩვენი თანამშრომლების გულმოდგინე მუშაობის, პროფესიონალიზმისა და ერთიანობის წყალობით ჩვენ შევძლით აგვეშენებინა მსოფლიო კლასის ბიზნესი. ხშირად გვიწევს ძალიან განსხვავებულ და გამომწვევ გარემოებებში მუშაობა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ჩვენთვის ვაწარმოოთ ბიზნესი ერთიანობის უმაღლესი სტანდარტებით, ისე რომ შევინარჩუნოთ რეპუტაცია ნებისმიერ ადგილას სადაც წავალთ და ნებისმიერ ქმედებაში, რასაც ხელს მოვკიდებთ.

წინამდებარე კოდექსი, ბიზნეს ქცევის შესახებ, წარმოადგენს ჩვენი მუშაობის ჩარჩოს და მასში გავაერთიანეთ საკუთარი ბიზნეს-პრინციპები. ბიზნეს ქცევის კოდექსი განსაზღვრავს თუ რა მოლოდინები არსებობს ნებისმიერი თანამშრომლისა და ბიზნეს-პარტნიორისგან, რომელიც მუშაობს ICTSI-ში და/ან ICTSI-ის სახელით.

ICTSI-ის დირექტორთა საბჭოს სახელით, მსურს მადლობა გადავუხადო ჩვენს თანამშრომლებსა და ბიზნეს პარტნიორებს, წინამდებარე კოდექსის გაცნობისათვის და საკუთარი ბიზნესის, ჩვენი ფუნდამენტური ღირებულებებისა და პრინციპების შესაბამისად წარმართვისათვის. თქვენი ერთგულება არის ჩვენი სამომავლო წარმატების გარანტი.

ენრიკე კ, რაზონ უმცროსი
თავმჯდომარე და პრეზიდენტი

1. შესავალი

1.1. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თანამშრომლები, ოფისები და ოპერაციები გლობალურ მასშტაბზეა განლაგებული, მაინც ვხელმძღვანელობთ ჩვენი ძირითადი ღირებულებებითა და პრინციპებით. ჩვენ ვინარჩუნებთ პატიოსნებისა და ერთიანობის უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს. ჩვენ პატივს ვცემთ და ვიცავთ იმ ქვეყნის კანონებს, რომელშიც ვმუშაობთ. ბიზნეს ქცევის კოდექსი („კოდექსი“) წარმოადგენს ჩვენი შეხედულებების, ღირებულებებისა და ვალდებულებების განცხადებას.

1.2. კოდექსი მოგცემთ საშუალებას იხელმძღვანელოთ ყველაზე კრიტიკული საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც უდავოდ ეხება ყველა ეთიკურ საკითხს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ნებისმიერ დროს. მიმართებები შეიძლება განსხვავებული იყოს ადგილობრივი კანონებისა და რეგულაციებიდან გამომდინარე. ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ კორპორაციული საქმეებისა და მხარდაჭერის მართვის ვიცე-პრეზიდენტს.

2. კოდექსის ფარგლები

კოდექსი ეხება:

1.1. საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის მომსახურეობას (ICTSI), თავისი ფილიალებით, ერთობლივი საწარმოებითა და ასოცირებული კომპანიებით, სადაც ICTSI და მისი ფილიალები ფლობენ მართვის კონტროლს (კოლექტიურად მოხსენიებული, როგორც **„ICTSI“**);

1.2. ICTSI-ის ყველა თანამშრომელს, ოფიცერს, დირექტორს, კონსულტანტს, კონტრაქტორს, ტრენერს, წარგზავნილ პერსონალს, ყოველდღიურ მუშას და სააგენტოს პერსონალს, ასევე სტაჟიორებს, აგენტებსა და ნებისმიერ პირს, ასოცირებულს ჩვენს კომპანიასთან, მდებარეობის მიუხედავად (წინამდებარე კოდექსში, კოლექტიურად შემდგომში, როგორც „თანამშრომლები“); და

1.3. გარეშე მესამე მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ საგარეო მხარეებს, მაგრამ მოქმედებენ ICTSI-ის სახელით, ეს მოიცავს შემდეგ პირებს: აგენტებს, კონსულტანტებს, დისტრიბუტორებს, გუნდის პარტნიორებს, კონტრაქტორებს და განსაზღვრულ მომწოდებლებს. მომწოდებლები, რომლებიც არ წარმოადგენენ ICTSI-გამოირიცხებიან. სადაც ეს შესაძლებელია, წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები თანაბრად ეხება ზემოხსენებულ პირებს, ისევე როგორც ICTSI-ის ყველა თანამშრომელს.

3. პასუხისმგებლობა

1.1. ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, წინამდებარე კოდექსის გაცნობა და მის შესაბამისად მოქმედება;

1.2. ICTSI სერიოზულად უდგება წინამდებარე კოდექსის დარღვევას. თანამშრომლები, რომლებიც დაარღვევენ აღნიშნულ კოდექსს, დადგებიან დისციპლინარული პასუხისმგებლობის წინაშე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტაც კი; მესამე მხარეები, რომლებიც დაარღვევენ ბიზნეს-ქცევის კოდექსს, დადგებიან ბიზნეს-ურთიერთობის შეწყვეტის წინაშე და მომავალში გამოირიცხებიან იმოქმედონ ICTSI-ის სახელით;

1.3. თუკი თქვენ გაშფოთებთ, ან გაქვთ ინფორმაცია, წინამდებარე კოდექსის რომელიმე პუნქტის დაღვევის შესახებ, თქვენს პასუხიმგებლობას წარმოადგენს დაუყოვნებლივ მიმართოთ ხაზის მენეჯერს. ასევე შეგიძლიათ დარღვევის შესახებ შეატყობინოთ კორპორაციული საქმეებისა და მხარდაჭერის მართვის ვიცე-პრეზიდენტს.

4. თანამშრომელთა ურთიერთობები

ICTSI ემხრობა სამუშაო ადგილის დივერსიას და მოიაზრებს საკუთარ თანამშრომლებს, თავის უდიდეს აქტივად. ჩვენ მივისწრაფვით შევინარჩუნოთ სამართლიანი, ჰარმონიული და პატივსაცემი გარემო, სადაც ყველა თანამშრომელს ექცევიან ღირსეულად და პატივს სცემენ ინდივიდუალურ განსხვავებებს. ICTSI მკაცრად კრძალავს ნებისმიერი სახის დისკიმინაციას, გამოწვეულს: რასობრივი, აღმსარებლური, სქესობრივი, ასაკობრივი, ქმედ-უუნარო, ან ორსულობის გამო. ნებისიმიერი ფორმის დაშინება, არაპროფესიონალური, ან არასათანადო სამუშაო ქცევა არ ისარგებლებს შემწყნარებლობით. სადაც საჭიროა, გამოყენებული იქნება დამატებითი, ადგილობრივი მოთხოვნები.

5. პატიოსანი და ეთიკური ბიზნესის პრაქტიკა

5.1 ანტი-მექრთამეობრივი ვალდებულება

5.1.1. ICTSI არასოდეს მოექცევა მექრთამეობასა და კორუფციაში. გარდა ICTSI-ის მიერ გათვალისწინებული დისციპლინარული სახდელისა, ანტი-მექრთამეობრივი კანონის დარღვევა ნებისმიერი თანამშრომლის მიერ გამოიწვევს მკაცრ პასუხისმგებლობაში მიცემასა და სამოქალაქო ჯარიმებს.

1.2.1. **5.1.2** არ უნდა მოხდეს თანამშრომლების მხრიდან, ნებისმიერი ფორმით, ქრთამის შეთავაზება, მიღება, ან დავალება, პირდაპირ, თუ ირიბად, ICTSI-თვის საქმიანი ურთიერთობების დროს.

5.1.3 ქრთამი შეიძლება იყოს ნებისმიერი ღირებულებისა და ფორმის, როგორებიცაა: ფულადი, ან მისი ექვივალენტური, მაგალითად, სასაჩუქრე ბარათები, უკანონო გასამრჯელოები, საკომისიოები, საჩუქრები, გასართობი საშუალებები, მგზავრობა, ან დაბინავება, საქველმოქმედო შენაწირები, პოლიტიკური შენატანი, საკონსულტაციო გადასახადები, სამუშაოს დაწყების შეთავაზება, ან სხვა სარგებელი.

5.1.4 ICTSI მკაცრად კრძალავს ნებისმიერი ფორმისა და ნებისმიერ პიროვნებაზე შეთავაზებულ ქრთამს, იქნება ეს კერძო ინდივიდი, თუ მთავრობის ოფიციალური პირი. ადგილობრივი ბიზნესის ჩვეულებები და კულტურა, არ წარმოადგენს მექართამეობაში გარევის საპატიებელ მიზეზს.

.5.1.5 თანამშრომლებმა, არ უნდა მოითხოვონ და მიიღონ ქრთამები, ან სხვა პერსონალური სარგებელი, რომელიც გამოიწვევს საკუთარი მოვალეობის დარღვევას, ან შეუსაბამო ქცევას.

5.1.6 დეტალური ხელმძღვანელობისთვის, თანამშრომლებმა უნდა მიმართონ, **ICTSI-ის ანტი-მექრთამეობრივი ქცევის პოლიტიკასა და პროცედურებს.**

5.2 ბიზნეს საჩუქრები, გართობა და სტუმართმოყვარეობა

5.2.1 ჩვენ გვესმის, რომ საჩუქრების გაცემისა და მიღების პრაქტიკა, ასევე სტუმართმოყვარეობა და მოგზაურობა (კოლექტიურად, "ბიზნეს გაცნობა") საჭიროა სათანადო გარემოებებში, იმისათვის რათა მოხდეს ბიზნეს ურთიერთობების გაძლიერება და შეიქმნას კეთილი ნება. თუმცა, ასეთი პრაქტიკა შეიძლება განსხვავდებოდეს. იქედან გამომდინარე, თუ რა არის მისაღები და კანონიერი ქვეყნიდან ქვეყანაში.

5.2.2 იმისათვის რათა, თავიდან ავირიდოთ იმის განცდა, რომ ბიზნეს გაცნობა შეუფერებელია და ხდება მიმღების ბიზნესის შეხედულებებსა და ობიექტურობაზე ეფექტის მოხდენა, მსგავსი საჩუქრების მიღება-გაცემა უნდა გადაისინჯოს

5.2.3 ICTSI-ის სახელით ნებისმიერი ბიზნეს გაცნობის წარმოებისას, თანამშრომლები უნდა დარწმუნდნენ, რომ აღნიშნული ქმედება ითვალისწინებდეს შემდეგს:

- არ არღვევს ადგილობრივ კანონებსა და რეგულაციებს;
- არის მოკრძალებული და შეესაბამება ბიზნეს სტანდარტებს;
- განეკუთვნება კონკრეტულ ბიზნეს მიზანს;
- შესაფერისია განსაკუთრებული კონტექსტისთვის, მაგ: საჩუქრის მიცემას ადგილი აქვს, შეთავაზებების, ან მოლაპარაკების შუა პროცესში თუ არა;
- არ აგდებს უხერხულ მდგომარეობაში ICTSI და არ მოქმედებს მის საწინააღმდეგოდ;
- არ აქვს ქრთამის სახე;
- არ აქვს ნაღდი ფულის, ან მისი ექვივალენტური ფორმის სახე.

5.2.4 თანამშრომლებმა უნდა გაითვალისწინონ, ასევე ბიზნეს გაცნობის სიხშირე ერთი და იმავე მხარესთან;

5.2.5 თუკი მესამე მხარისთვის გადასაცემი საჩუქარი აღემატება გონივრულ რაოდენობას, მაშინ ამის შესახებ წინასწარი შეთანხმება უნდა მოხდეს უფროს ვიცე პრეზიდენტთან;

5.2.6 თუკი თქვენ გეეჭვებათ ბიზნეს გაცნობის, ან სხვა პერსონალური სარგებლის შესაფერისობა, ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოთ კორპორაციული საქმეებისა და მხარდაჭერის მართვის ვიცე-პრეზიდენტის რჩევებით. დეტალური ხელმძღვანელობისთვის, თანამშრომლებმა უნდა მიმართონ ასევე, **ICTSI-ის ანტი-მექრთამეობრივი ქცევის პოლიტიკასა და პროცედურებს.**

5.3 საქველმოქმედო შენაწირები

ICTSI შესაძლოა, დრო და დრო, გახდეს კორპორაციული სპონსორი, განახორციელოს შეწირულობები და გაუწიოს დახმარება ორგანიზაციებს საქველმოქმედო მიზნებით, იქნება ეს ფულადი, აქტივებისა, თუ მომსახურეობების ფორმით. ყველა ასეთი შეწირულობა უნდა იყოს ნამვილად საქველმოქმედო მიზნისა და დადებითი რეპუტაციის, და არ უნდა იყოს პირობითი ICTSI ბიზნესისა, ან სხვა სახის სარგებლთან მიმართებით..

5.4 პოლიტიკური აქტივობები და შენატანები

5.4.1 დაუშვებელია ნებისმიერი სახის პოლიტიკური შენატანის გაკეთება, ICTSI-ის სახელით, უფროს ვიცე პრეზიდენტთან წინასწარი შეთანხმებისა და წინამდებარე კოდექსისა და კანონის დაცვის გარეშე;

5.4.2 ICTSI-ის თანამშრომლები შესაძლოა გახდნენ პოლიტიკური აქტივობების მონაწილეები, საკუთარი სურვილების, პიროვნული შესაძლებლობების, დროისა და დანახარჯების შესაბამისად. ყველა აღნიშნული შეხედულება და ქმედება არის თქვენი საკუთარი და არა- ICTSI-ის. კომპანიის აქტივებისა და რესურსების გამოყენება, პოლიტიკური აქტივობებისთვის, დაუშვებელია წინასწარი თანხმობის გარეშე, როგორც ეს უკვე აღნიშნა ზემოთ, 5.4.1. პუნქტში.

6. ჩანაწერების სიზუსტე

6.1 ICTSI მიიჩნევს, რომ ICTSI-ის ბიზნეს ჩანაწერებისა და საჯარო განცხადებების სისრულე და სიზუსტე უაღრესად მნიშვნელოვანია. ყველა ჩანაწერი უნდა შეიცავდეს ზუსტ და დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ასახავს ICTSI გადარიცხვების ბუნებას, შესაფერის ბუღალტრულ პრინციპებსა და სტანდარტებთან მიმართებით. მკაცრად აკრძალულია მცდარი, არასრული, არაზუსტი, ან ხელოვნური ჩანაწერების წარმოება.

6.2 ICTSI მოითხოვს, რომ მოხდეს ყველა საჩუქრის, გასართობი და სტუმართმოყვარეობაზე გაწეული დანახარჯის სათანადოდ აღწერა და მათი დაფიქსირება ICTSI-ის დანახარჯთა პროცედურების და/ან პრაქტიკის შესაბამისად.

7. ინტერესთა კონფლიქტი

7.1 ინტერესთა კონფლიქტი თავს იჩენს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს თქვენს პიროვნულ, ან ფინანსურ ინტერესებსა და ICTSI-ის ინტერესებს შორის ცდომილებას. საჭიროა, თანამშრომელი ყოველთვის მოქმედებდეს ICTSI-ის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. თავი უნდა აარიდოთ ნებისმიერ სიტუაციას, როდესაც თქვენი პიროვნული ინტერესი შეუსაბამო გავლენას ახდენს, ან შესაძლოა გავლენა მოახდინოს თქვენს ობიექტურობასა და შეფასებაზე;

7.2 ზოგიერთი მაგალითი, როდესაც შესაძლოა წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი შემდეგია:

- ოჯახის წევრებსა და მეგობრებზე დახმარება ICTSI-ში ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებით;
- გარე თანამშრომლობა, ან საქმიანი ურთიერთობა იმ კომპანიებთან, რომლებიც იმყოფებიან ICTSI-თან კონკურენციაში, ან აწარმოებენ მასთან ბიზნესს;
- ნებისმიერი პიროვნული სარგებლის მიღება, ნებისმიერი გარიგებიდან, რომელშიც გარეულია ICTSI; ან
- კომპანიის რესურსებისა და ინფორმაციის გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით.

7.3 ნებისმიერ გარემოებაში დაუშვებელია ICTSI -ის თანამშრომლის პარალელურად მუშაობა ICTSI-ის კონკურენტ კომპანიაში;

7.4 თუკი თქვენ ფლობთ ინფორმაციას ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, აუცილებელია ამის შესახებ აცნობოთ თქვენს უშუალო ზედამხედველს და მიიღოთ წერილობითი დასტური მსგავს სიტუაციაში/გარიგებაში მონაწილეობის მიღების შესახებ. მენეჯმენტი გულდასმით განიხილავს თითოულ სიტუაციას და განსაზღვრავს თუ სად აქვს ადგილი ინტერესთა კონფლიქტს.

8. შიდა ინფორმაცია და ფასიანი ქაღალდები

8.1 შიდა ინფორმაცია, არის ინფორმაცია, რომელიც კონფედენციალური, ან საჯაროდ მიუწვდომელია და რომელსაც გონიერი ინვესტორი მოიაზრებს მნიშვნელოვნად საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს, შეისყიდოს კომპანიის ფასიანი ქაღალდები;

8.2 შიდა ინფორმაციის მაგალითები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური შედეგები, ვარაუდები, ან განცხადებები, რომლებიც არ გასაჯაროვებულა;
- გაერთიანებები, აკვიზიციები და ერთობლივი საწარმოები;
- ძირითადი სამართალწარმოება, ან სხვა სამართლებრივი პროცედურები;
- ძირითადი საგადასახადო შეფასებები, ან გამოძიებები რეგულატორების მიერ; ან
- ნიშანდობლივი რესტრუქტურიზაცია, ან მენეჯმენტის ცვლილება.

8.3 ბევრ ქვეყანაში, არალეგალურად ითვლება შიდა ინფორმაციიდან სარგებლის მიღება, ან ნებისმიერი კომპანიის ფასიანი ქაღალდების შეძენა/გასხვისება, ICTSI-კომპანიების ჩათვლით; ასევე კანონით დაუშვებელია, შიდა ინფორმაციის სხვებისთვის გადაცემა, ვაჭრობის მიზნით, მაშინაც კი თუკი თქვენ უშუალოდ არ ხართ ამ ვაჭრობის მონაწილე, ან არ გაქვთ არანაირი პირადი სარგებელი;

8.4 თუკი თქვენ ეჭვობთ თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია წარმოადგენს თუ არა შიდა ინფორმაციას, აუცილებლად გადაამოწმეთ ის ICTSI-ის ინვესტორებთან ურთიერთობის განყოფილებასთან;

8.5 წარმოადგენს რა ფილიპინების საფონდო ბირჟაზე ერთ-ერთ კომპანიას, ICTSI არის ფასიანი ქაღალდების რეგულირებისა და მათი გამოაშკარავების წესების საგანი. მსგავსი რეგულაციების შესაბამისად, ICTSI ხანდახან ნერგავს ბნელ პერიოდს, აწესებს რა შეზღუდვებს ICTSI-ის წილების გარიგებაზე, ICTSI -ის დირექტორებისა და ოფიცრების მიერ.

9. სამართლიანი ბიზნესის პრაქტიკა და უნდობლობა

9.1 ICTSI არ აწარმოებს არაეთიკურსა, ან არალეგალურ ბიზნესს. მაშინ, როდესაც ICTSI ენერგიულად მიისწრაფვის ბიზნესის კეთებისკენ, ჩვენი ქცევები უნდა იყოს კანონიერი, ხოლო ვალდებულებები-ერთიანი.

9.2 ინფორმაცია ბიზნესის შესახებ არ უნდა იქნას მოპოვებული არაკანონიერი, ან არაეთიკური საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა ფაქტების დამახინჯება, მოტყუება, ქურდობა, ან მექრთამეობა.

9.3 ბევრ ქვეყანაში არსებობს ე.წ. უნდობლობის კანონი, რომელიც კრძალავს ბიზნეს ქცევას, რაც ზღუდავს დამსახურებაზე დაფუძნებულ მეტოქისუნარიანობას. ICTSI-ის პოლიტიკას წარმოადგენს იმოქმედოს მსგავსი უნდობლობის კანონებთან შესაბამისობაში.

10. ინფორმაციისა და მონაცემთა კონფედენციალურობა

10.1. ICTSI-ის თანამშრომელთა ვალდებულებას წარმოადგენს დაიცვან ინფორმაციის კონფედენციალურობა, მისი არასამართლებრივი გამხელისგან ICTSI-ის ფარგლებს გარეთ. ICTSI-ში, კონფედენციალური ინფორმაციის გამხელა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელთაც აქვთ ამის ბიზნეს საჭიროება. კონფედენციალური ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს გაყიდვებისა და ფინანსების, ბაზრის კვლევის, ICTSI-ის შესაძლებლობებისა და ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობების, ასევე ICTSI-ის ტექნიკურსა და ინდუსტრიულ ინფორმაციას.

10.2 ICTSI-ში პატივს სცემენ, თანამშრომელთა, კლიენტთა და ბიზნეს პარტნიორთა უფლებას პირადი ინფორმაციის დაცვაზე, მასზე მუშაობის პროცესში. ჩვენ განსაკუთრებულად ვუფრთხილდებით პირად მონაცემებს და ვუზრუნველყოფთ მათ დაცვას არასამართლებრივი გამომჟღავნების, მიწვდომისა, ან გამოყენებისგან. თანამშრომლებს არ შეუძლიათ ასევე პირადი მონაცემების გამოყენება შეუფერებელი მეთოდითა და პირადი სარგებლის მიღების მიზნით.

11. ადგილობრივ კანონებსა და წინამდებარე კოდექსთან შესაბამისობა

11.1. ICTSI-ის პოლიტიკას წარმოადგენს იმოქმედოს თითოეული ქვეყნის, ყველა სათანადო კანონსა და რეგულაციასთან შესაბამისობაში, სადაც მას უწევს მუშაობა. იმისათვის, რათა თავიდან აცილებულ იქნას ეჭვი წინამდებარე კოდექსის შეუსაბამობის შესახებ ადგილობრივ კანონებსა და/ან რეგულაციებთან, გვინდა აღვნიშნოთ, რომ უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ კანონებსა და რეგულაციებს.

11.2. წინამდებარე კოდექსის დარღვევა გამოიწვევს დისციპლინარულ სახდელს და შრომის ხელშეკრულების შესწყვეტასაც კი. დამატებით, კანონის ნებისმიერი დარღვევა, გამოიწვევს ICTSI-ის მიერ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებისათვის.

11.3 თუკი თქვენ ფლობთ ინფორმაციას კანონის, ან წინამდებარე კოდექსის პოტენციური, ან ფაქტობრივი დარღვევის შესახებ, თქვენი ვალდებულებაა, დროულად აცნობოთ ამის შესახებ კორპორაციული საქმეებისა და მართვის ვიცე-პრეზიდენტს.

***